პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 162 (5971)

18 აგვისტო, 1977 წ. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

დეპეშა ორშიდან

„სასიმაღლო-ტექნიკური კლუბში სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილე საქართველოს ალპინისტთა ჯგუფმა, რომელსაც ქართველიშვილი ხელმძღვანელობს, მყინვარ ფორტამბეკის შტურმის მე-9 დღეს გადალახა ყინულის ბოლო მონაკვეთი და 18 აგვისტოს მიაღწია აბალაკოვის პიკ ჩრდილოეთის კედლით.

გია საჯაია,
ექსპედიციის მაშველი ჯგუფის უფროსი.

მეგობრულ ვიზიტად

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით 16 აგვისტოს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოსა და მის თანმხლებ იუგოსლაველ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს გულითადად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და სხვა ოფიციალური პირნი.

იოსიპ ბროზ ტიტოსა და მის თანმხლებ პირებს აეროდრომზე გულთბილად მიესალმნენ დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ბროზ ტიტომ ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს.

აეროდრომიდან ამხანაგები ი. ბროზ ტიტო და ლ. ი. ბრეჟნევი მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტით კრემლში გაემართნენ.

ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ი. ბროზ ტიტოს, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებს მხურვალედ ესალმებოდა ათასობით მოსკოველი.

16 აგვისტოს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბროზ ტიტოს გადასცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი, რომლითაც იგი დააჯილდოვა საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისთვის, ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში დამსახურებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების 85 წლისთავთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 16 აგვისტოს კრემლში სადილი გამართეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბროზ ტიტოს პატივსაცემად.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად იყვნენ მისი თანმხლები იუგოსლავი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. ფ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, პ. ნ. დემიჩევი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, მ. ვ. ზიმიანინი, ი. პ. რიაბოვი, კ. ვ. რუსაკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა.**

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ამხანაგმა **ი. ბროზ ტიტომ.**

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ბროზ ტიტოს სიტყვები დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სადილმა გულითად, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

შინაარსიანი ზაფხული

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირების პიონერული ბანაკი „ჩირალდანი" (უფროსი ა. უთნიაშვილი) ახალდაბის მიდამოებშია განლაგებული. ბანაკი ოთხნაკადიანია. დღემდე აქ 700-მდე მოსწავლემ დაისვენა. ბანაკის ვრცელ ტერიტორიაზე მოწყობილია ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, სახტომი ორმოები.

პიონერები დროს შინაარსიანად ატარებენ: დადიან ლაშქრობებში, ექსკურსიებზე, ათვალიერებენ ისტორიულ ადგილებს, ტარდება სპარტაკიადები. ყველა ეს ღონისძიება მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი.

მეოთხე ნაკადის დამსვენებლებმა ფიზკულტურის საკავშირო დღეს მოაწყვეს ტურისტული ლაშქრობა ნასოფლარ ნეძვში. ნორჩები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მინი-ფეხბურთში, ჭადრაკში, შაშში, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში...

...მალე პირველი სექტემბერიც მოვა. ჩირალდნელები ახალი ძალითა და ენერგიით ეგებებიან ახალ სასწავლო წელს.

შ. დევნოზაშვილი,
პიონერთა ბანაკ „ჩირალდნის" ფიზაღზრდის მასწავლებელი.

* * *

სურათებზე: პიონერთა ლაშქრობისა და დასვენების მომენტები. ავტორის ფოტოები.

თბილისელთა წარმატება

პენზა, (დეპეშით). აქ გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური შეხვედრა. ადგილობრივი გუნდის მეტოქე იყო უმაღლესი ლიგის მუდმივი ბინადარი — თბილისის „ლოკომოტივი". სტუმრებმა, პენზელი სპორტსმენების ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად მოიპოვეს გამარჯვება (28:12) და მეოთხედფინალში გავიდნენ.

რეგბი

„მცირე კალათბურთის" დიდი დღესასწაული

თბილისელი ჭაბუკებისა და მოსკოველი გოგონების გამარჯვებით დამთავრდა კიროვო-ჩეპეცკის IV საკავშირო ფესტივალი მინი-კალათბურთში.

...ქალაქში თოთხმეტი დღის განმავლობაში გაისმოდა ბელორუსი, უკრაინელი, ლატვიელი, ლიტველი, ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ყაზახი, მოსკოველი, ლენინგრადელი, ვოლგოგრადელი ნორჩი სპორტსმენების მხიარული ხმები...

დღესასწაულის მონაწილენი დიდი გატაცებით მხოლოდ კალათბურთის მოედნებზე როდი იბრძოდნენ. ნორჩები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რეგბიში, ხტომებში, ცეკვასა და სიმღერაში. ახალგაზრდა სპორტსმენებმა გამოამჟღავნეს კალათბურთის თამაშის წესების ცოდნა, მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის სპორტის ისტორიის კონკურსში.

მშდ კომპლექსის პირველი საფეხურის ნორმატივების ჩაბარებაში თავი ისახელა ლატვიის ქალაქ ელგავას ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ვაჟთა გუნდმა. გოგონათა შორის კი მოსკოვის ოლქის ქალაქ მიტიშჩის სპორტსმენებმა იმარჯვეს.

ტექნიკური მომზადების მხრივ (ბურთის გატაცება და ტარება, კალათში ტყორცნა) ყველაზე მეტი ქულა დაიმსახურეს, ვაჟებში: მოსკოვის საბჭოთა რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელებმა, გოგონათა შორის კი — დნეპროპეტროვსკის ოლქის სპორტსმენებმა.

I-II ადგილები საუკეთესო სპორტული ფორმისთვის (ფესტივალში ეს სახეობაც შედიოდა) ელგაველ და მიტიშჩელ ჭაბუკებს ხვდათ. კომისიამ უპირატესობა მიანიჭა, აგრეთვე, მიტიშჩელ კალათბურთელ გოგონებს. აღსანიშნავია, რომ შეფასებისას მხედველობაში მიიღებოდა დისციპლინაც. კარგი იქნება, თუ ბავშვებს ამ მხრივ ზოგიერთი მოზრდილი სპორტსმენიც მიბაძავს.

...და მაინც, ყველაზე დაძაბული ბრძოლა კალათბურთის მოედნებზე გაჩაღდა. წინასწარი თამაშების შემდეგ ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ ბაქოს, დნეპროპეტროვსკის, თბილისის, კლაიპედის, კიროვო-ჩეპეცკისა და ერევნის ვაჟთა გუნდები. გოგონათა შორის I-VI ადგილებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს თბილისის, მინსკის, ფრუნზეს, მოსკოვის, ნოვომოსკოვსკისა და ერევნის კოლექტივებმა.

— დღითი დღე იზრდება მინი-კალათბურთის პოპულარობა ჩვენს ქვეყანაში, — თქვა ფესტივალის მთავარმა მდივანმა ა. სტრელცოვმა, — დღეს მას ათი ათასობით ნორჩი მიმდევარი ჰყავს. ეს თამაში გვხიბლავს თავისი ემოციურობითა და კოლექტიური მოქმედებით. და რაც მთავარია, იგი კეთილ გავლენას ახდენს მომავალი თაობის აღზრდაზე, ბავშვთა ჰარმონიულ განვითარებაზე.

დაბოლოს გვინდა აღვნიშნოთ კიროვო-ჩეპეცკში ჩატარებული საკავშირო ბავშვთა სპორტული დღესასწაულის კარგი ორგანიზაცია. მასპინძლებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებს თავისუფლად ეგრძნოთ თავი ამ ქალაქში.

მალე დაიწყება ახალი სასწავლო წელი. კიროვო-ჩეპეცკის ფესტივალის ბევრი მონაწილე განაგრძობს მეგობრობას, გაუზიარებს ერთმანეთს სპორტსა და სწავლაში მიღწეულ წარმატებებს.

ზ. ზიკოვი,
ხაკდესის კორ.

კიროვო-ჩეპეცკი.

ფრენბურთი

ვ. სავინის მემორიალი დამთავრდა

მინსკში დამთავრდა ვ. სავინის მემორიალი. ბოლო შეხვედრების ანგარიშია: სსრ კავშირი — იაპონია 3:0 (15:9, 15:6, 15:10), კუბა — პოლონეთი 3:1.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	მ.	წ.	პ.	ქ.
სსრ კავშირი	3	0	9:1	3
კუბა	2	1	6:5	2
პოლონეთი	1	2	5:6	1
იაპონია	0	3	1:9	0

დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: V ბელორუსია, VI რუმინეთი, VII იუგოსლავია, VIII ფინეთი.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების შემდეგ

თანამედროვე მეცნიერების დონეზე

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მოძღვრებაში ადამიანის აღზრდა განსაზღვრულია, როგორც პიროვნების ფორმირების ერთნაირი პროცესი, სადაც ფიზიკური აღზრდა ამ პროცესის ორგანულ ნაწილადაა წარმოდგენილი.

დღეს კი, საბჭოთა ხალხის შრომისა და ყოფა-ცხოვრების ძირითადი კანონის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის 25-ე მუხლი ითვალისწინებს სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების ერთიან სისტემას, რომელიც ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის მომზადებას.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამასწინანდელ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს, ხაზგასმით აღინიშნა: „ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ხალხი იყოს მაღალინტელექტუალური, დიდად განათლებული, ჰარმონიულად განვითარებული, ჯანმაგარი, ლამაზი, ჯანსაღი, ხალისიანი, ფიზიკურად სრულყოფილი. აი რას ვესწრაფვით ჩვენ“. აქვე აღნიშნულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფართო სოციალურ-საზოგადოებრივი, მისი დიდი პატრიოტული და ინტერნაციონალური მნიშვნელობა, ნათქვამია, რომ ჩვენს ახალგაზრდობას უნდა შევუქმნათ ჯანმრთელობისა და ფიზიკური წრთობის მკვიდრი მეცნიერული საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენს ფართო საზოგადოებრიობას, კერძოდ, ფიზიკური კულტურისა და განათლების დარგის მუშაკებს ავალებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მაღალ მეცნიერულ დონეზე დაყენებას.

გასაგებია, რომ დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ეპოქაში, ფიზიკური აღზრდა და სპორტი ჩვენში განსაკუთრებით აქტუალური გახდა და იგი მიზნად ისახავს ფიზიკურად ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდას. მისი კონკრეტული ამოცანაა ისეთი ფიზიკურ-სამოძრაო თვისებების დანერგვა-განვითარება და მათი რაციონალური გამოყენების უნარ-ჩვევების შემუშავება, როგორიცაა: მოძრაობის ძალა, გამძლეობა, სისწრაფე, სიზუსტე, ტემპი, რიტმი, კოორდინაცია, მოქნილობა და პლასტიკურობა, გრაცია და სილამაზე.

არ არსებობს ადამიანის შრომა-საქმიანობისა და მოღვაწეობის არც ერთი დარგი, აღნიშნული სამოძრაო თვისებების აღზრდა-განვითარებასა და მათ რაციონალურ გამოყენებას არ საჭიროებდეს.

ამიტომაც გასაგებია, რომ ფიზიკური აღზრდა და სპორტული ვარჯიშები მეტად მრავალმხრივ კომპლექსურ და რთულ პედაგოგიურ პროცესს წარმოადგენენ. ფიზკულტურის მასწავლებელი-მწვრთნელი კარგად უნდა ფლობდეს ამ რთული პედაგოგიური პროცესის ზოგად კანონზომიერებას, მის მეცნიერულ საფუძვლებს, აღსაზრდელთა ფიზიკური და სულიერი ცხოვრების შინაარსს, მათ ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს, ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის პრინციპებსა და მეთოდებს, უნდა ჰქონდეს სრული შესაძლებლობა თავისი პედაგოგიური შრომის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების გამოყენებისა.

მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდასა და სპორტზე მსჯელობისას, აუცილებელია ფიზიკურ აღზრდასთან ერთად სწორი მეცნიერული წარმოდგენა გვქონდეს იმის შესახებ თუ რა არის არსებითად სპორტი, როგორც სოციალური მოვლენა და რა ურთიერთობაშია იგი ფიზიკურ აღზრდასთან.

საბჭოთა სპორტი, როგორც ჩვენი სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი მეტად პოპულარული და მნიშვნელოვანი დარგი, ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალთა განვითარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. იგი ატარებს ჭეშმარიტად ხალხურ და მასობრივ ხასიათს და ემსახურება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა-განმტკიცებას, ახალგაზრდობაში ფიზიკური ძალების განვითარებასა და სრულყოფას.

როგორც ხედავთ, სპორტი თავისი დანიშნულებით მრავალმხრივი სოციალური მოვლენაა. ამდენად, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, სპორტზე გლობალურად ლაპარაკი ზოგჯერ გაუგებრობასაც კი იწვევს, ხდება სპორტის, ფიზიკური აღზრდის, ფიზიკური კულტურისა და სხვა ასეთ ცნებათა აღრევა. ამიტომ დღეს აუცილებელია სპორტისადმი დიფერენციული მიდგომა მისი თეორიული და პრაქტიკული დანიშნულების მიხედვით. სპორტის დიფერენციაციას საფუძვლად უნდა დაედოს მისი პირდაპირი დანიშნულება — კონკრეტული მიზნები და ამოცანები.

ზემოაღნიშნული პრინციპის მიხედვით, თანამედროვე საბჭოთა სპორტი შეიძლება განვიხილოთ სამგვარად.

სპორტი, როგორც მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საშუალება. მას თავისი დანიშნულების მიხედვით პირობითად ვუწოდოთ სასკოლო სპორტი.

სასკოლო სპორტი ძირითადად მასობრივი ხასიათისაა, ემსახურება მოზარდი თაობის ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას, სპორტული ორიენტაციისა და მიდრეკილებათა გამოვლინებას.

როგორც ვიცით, სპორტისთვის საერთოდ დამახასიათებელია შეჯიბრება. სასკოლო სპორტში შეჯიბრება უფრო მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებასა და მომზადებას, მათი ფიზკულტურულ-სპორტული ძალების, ცოდნა-ჩვევათა პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამოვლენას ისახავს მიზნად და არა გამარჯვებასა და რეკორდსმენობისკენ სწრაფვას. შეჯიბრება ამ შემთხვევაში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი ხასიათისაა და ამიტომაც ყოველთვის მაღალ დონეზე უნდა ტარდებოდეს. იგი მოსწავლისთვის სუბიექტური თვითშემოწმებისა და თვითკონტროლის საშუალება უნდა იყოს, სადაც მთავარია სპორტული შეჯიბრების შედეგების (როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური) ობიექტური ანალიზი, სწორი პედაგოგიური შეფასება, სათანადო დასკვნების გაკეთება და მათი მომავლისთვის გათვალისწინება.

სპორტი, როგორც ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების პროფილაქტიკური საშუალება მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებას. ამდენად იგი მასობრივი ხასიათისაა და მის გამოყენებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ ვარჯიშთა ნაირსახეობათა რაციონალურ შერჩევას, ნორმატივების დადგენასა და რეგლამენტის მტკიცედ დაცვას, მოვარჯიშე პიროვნების თავისებურებების (ასაკი, სქესი, ინდივიდუალური თავისებურებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობა) გათვალისწინებით.

„დიდი სპორტი“, რომელიც ძირითადად მოტივირებულია მხოლოდ შეჯიბრებაში გამარჯვების ტენდენციებით და რომელსაც ჩვენ პირობითად „შემოქმედებით სპორტს“ ვუწოდებთ. იგი თავის სპეციფიკურ გამოვლენას პოულობს პიროვნების (თუ კოლექტივის) მაღალ მოტორულ-ინტელექტუალურ, იდეურ-მორალურ და ესთეტიკურ განცდათა სფეროში. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს ფსიქო-მოტორული ნიჭიერება, როგორც პიროვნების სუბიექტური თვისება, რომელიც შრომისა და აღზრდის პროცესში ვლინდება და ვითარდება. ამდენად იგი თავისი სპეციფიკით არ შეიძლება მასობრივი ხასიათის იყოს. თუმცა ფართო მასების ყურადღებითა და სიყვარულით კი სარგებლობს.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ შემოქმედებითი სპორტის გამოვლინებისა და განვითარების მყარ საფუძველს ბავშვობის ასაკში სწორ მეცნიერულ პრინციპზე აგებული ფიზიკური აღზრდა წარმოადგენს. ამიტომაც იგი არანაკლებ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს.

შემოქმედებითი სპორტი ფსიქომოტორულ ნიჭიერებასთან ერთად სპორტსმენისგან მოითხოვს თავდადებულ შრომასა და, ზოგ შემთხვევაში, თავგანწირულ მოქმედებასაც კი. ამიტომაც აუცილებელია მტკიცე რეჟიმისა და სათანადო ნორმატივების ზუსტი დაცვა, დიდი სიფრთხილე და ყურადღება მოქმედებაში.

სპორტული მიღწევები და წარმატებანი სხვა კომპონენტებთან ერთად ბევრადაა დამოკიდებული სპორტსმენის სპორტულ აღზრდაზე, რომელიც ძირითადად ხორციელდება წვრთნის პროცესში. აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია თვით „წვრთნის“ არსისა და მისი პედაგოგიური ბუნების მეცნიერული განსაზღვრა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსალოდნელია შეცდომები და დამახინჯებები. ამიტომ აუცილებელია გაირკვეს, რა პედაგოგიური მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენის აღზრდის სისტემაში ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორიცაა სპორტული წვრთნა და რაში მდგომარეობს მისი პედაგოგიური არსი.

როდესაც სპორტულ წვრთნაზე ვლაპარაკობთ, საკითხი ეხება ისეთ მოქმედებას, რომელიც მხოლოდ ადამიანისთვის არის დამახასიათებელი, ამდენად იგი არსებითად განსხვავდება ცხოვრების მექანიკური წვრთნისგან, რაც პირველ სასიგნალო პრინციპზეა აგებული.

ფიზიოლოგიურად სპორტული წვრთნის არსი მდგომარეობს მორფოლოგიურ და ფუნქციონალურ პროგრესულ ცვლილებებში, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის ორგანიზმში ძვალ-კუნთოვანი სისტემის მრავალგზის მოძრაობის შემდეგ. ამიტომაც სპორტული წვრთნა, როგორც მოქმედება, გარეგნულად ადამიანის სხეულისა და მისი ორგანოების ამა თუ იმ მოძრაობის სახით ვლინდება. მაგრამ მოძრაობა ცხოველსაც ახასიათებს, ამდენად, იგი წვრთნის დროს სპორტული ქცევის ტექნიკური მხარეა, ამიტომ მარტო მოძრაობა სპორტული წვრთნის პროცესში არ შეიძლება მის არსებით მხარედ ჩაითვალოს.

სპორტულ წვრთნას, როგორც მოძრაობის პროცესს, ადამიანის ქცევის ფაქტად მხოლოდ სუბიექტის ფსიქიკური ცხოვრებისა და მისი მორალურ-სოციალური ხასიათის მაღალ მოთხოვნილებათა აქტიური მონაწილეობა აქცევს. ამიტომ წვრთნა, როგორც სპორტული ქცევა და პედაგოგიური პროცესი, ყოველთვის პიროვნების გარკვეული მოთხოვნილების შინაარსითაა მოტივირებული და, ამდენად, შეგნებული და მიზნობრივი მიმართულების მოქმედებაა და არა უბრალო მექანიკური წვრთნა. ასე რომ არ იყოს, იგი მაშინ აღზრდის სახეს დაკარგავდა და პედაგოგიური პროცესიც არ იქნებოდა.

სამწუხაროდ, არის შემთხვევა, როდესაც სპორტული წვრთნის პროცესი მცდარ პრინციპზეა აგებული და მექანიკურ და ფორმალურ ხასიათს ატარებს. ასეთ შემთხვევაში უგულებელყოფილია ადამიანის სოციალური ფაქტორი, მისი აქტიური როლი და ადამიანის შემოქმედებითი უნარი. მიუხედავად იმისა, რომ წვრთნა ფორმალური შემოქმედების შემთხვევაში შეიძლება რაღაც შედეგს აღწევდეს, ამ სახით მაინც მიუღებელია, რადგან არსებითად მოკლებულია ადამიანის ნიშან-თვისებას და ამ გზით წარმართული წვრთნა ვერ უზრუნველყოფს პიროვნების ფიზიკურ ძალთა განვითარების სრულყოფას, მის დიდ სპორტულ წარმატებას.

იმისთვის, რომ მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა და სპორტული წვრთნა ხორციელდებოდეს მაღალ მეცნიერულ დონეზე, აუცილებელია ამ დარგში მომუშავე პედაგოგიურ კადრებს ჰქონდეთ სრულყოფილი პედაგოგიურ-მეცნიერული განათლება და მომზადება, რაც სპეციალური მსჯელობის საგანს წარმოადგენს.

გ. ნიკოლაიშვილი,

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე.

„იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობაც ღრმად შეისწავლის ფიზკულტურისა და სპორტის თეორიის პრობლემებს და თავის სიტყვას შემოგვაშველებს ამ საქმეში. მომწიფდა იმის საჭიროება, რომ გავაანალიზოთ, თუ რა გავლენას ახდენს ცხოვრების თანამედროვე პირობები თვით ადამიანთა ფიზიკური კულტურისა და სპორტული მოძრაობის განვითარებაზე, აუცილებელი გახდა მეცნიერული დაპროგნოზება უახლოესი და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივით“.

„სინამდვილეში კი მეტწილად სკოლაში ფიზკულტურული მეცადინეობა გართობის ხასიათს ატარებს, ხოლო ფიზკულტურის გაკვეთილები არცთუ იშვიათად თავშექცევის გაკვეთილებია ხოლმე. შემთხვევითი არ არის, რომ ფიზკულტურის გაკვეთილების გაუქმება ასე ეიოლებათ ხოლმე დირექტორებს, მათ მოადგილეებს, საკლასო დამრიგებლებს, ხოლო ზოგჯერ — თვით სასკოლო პარტიული ორგანიზაციების მდივნებსაც“.

ფიზაღზრდის გაკვეთილის სრულყოფისთვის

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში ფიზიკური კულტურის სწავლების დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ნაკლებად ინერგება გაკვეთილის ჩატარების პროგრესული ხერხები, თანამედროვე ორგანიზაციულ-მეთოდური ფორმები.

დაწყებით კლასებში ფიზიკური კულტურის საგანს ასწავლიან არასპეციალისტები, რომლებიც ვერ ფლობენ სათანადო ცოდნას, პრაქტიკულ ჩვევებს და ბავშვთა ფიზიკური აღზრდის მეთოდიკას. აქ ფიზიკური აღზრდის პროცესი ვერ წყვეტს ისეთ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, როგორიცაა მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაკაჟება, მათში მოძრაობითი უნარ-ჩვევების ფორმირება. პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენური ჩვევების დანერგვა, ფიზიკური ვარჯიშებითა და თამაშობებით დაინტერესება.

განათლების განყოფილებები, სკოლის დირექტორები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი, ნაკლებად ზრუნავენ არასპეციალისტ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, სისტემატურად არ ამოწმებენ მათს საქმიანობას, ურიგდებიან არსებულ მდგომარეობას. კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს არ ახორციელებენ დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებელთა მიმართ.

ფიზიკური აღზრდისადმი ასეთი დამოკიდებულებით განპირობებულია ის გარემოება, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და მასობრივად შეინიშნება ფიზიკური განვითარების ნორმებიდან გადახრა. ამასთანავე, სკოლების დიდ ნაწილში არ არსებობს სუსტი ჯანმრთელობის მქონე მოსწავლეთა აღრიცხვა, სპეციალური სამედიცინო კონტროლი და გამოკვლევა.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფართოდ გავრცელდა უაღრესად არასწორი და მავნე პრაქტიკა — ფიზკულტურის გაკვეთილებიდან მოსწავლეთა მასობრივად განთავისუფლება.

დაწყებით კლასებში ფიზიკური კულტურის საგნის სწავლების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გამოსცა სპეციალური ბრძანება, რომლის არსიც ასეთია:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა საგანგებოდ შეისწავლონ დაწყებით კლასებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მდგომარეობა, რისთვისაც ამ მიზნით შექმნილი კომისიის მეშვეობით გამოარკვიონ, რამდენად შეეფერება თითოეული მასწავლებლის მომზადების დონე არსებული სასწავლო პროგრამის მიხედვით საგნის სწავლებას; შემმოწმებელმა კომისიამ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა შეფასებისას მხედველობაში მიიღოს უმთავრესად მასწავლებლის პრაქტიკული ჩვევები და გაკვეთილის პროცესში მის მიერ გამოვლენილი შესაძლებლობანი. ყოველი მასწავლებლის დახასიათებისას აღნიშნონ სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა მიზეზები, მისი კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობანი; მიმდინარე სასწავლო წელს დააჯამონ კომისიების მუშაობა, გამოავლინონ მასწავლებლები, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ ფიზიკური გაკვეთილების ჩატარება, მიიღონ მათ მიმართ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 4 სექტემბრის (№ 389 II-18) დადგენილებით გათვალისწინებული ზომები, ჩამოართვან ფიზკულტურის გაკვეთილები და აუნაზღაურონ სატარიფო განაკვეთი იმ მასწავლებლებს, რომლებიც ფიზკულტურის გაკვეთილებს ვერ ატარებენ დაბალი კვალიფიკაციის ან სხვა არასაპატიო მიზეზის გამო, ხელფასი გაეცეთ ფიზკულტურის საათების გამოკლებით, ფაქტიურად ჩატარებული საათების მიხედვით. გამოთავისუფლებული საათები გადაეცეს ფიზკულტურის სპეციალისტს ან იმ მასწავლებელს, რომელსაც შეუძლია ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ჩატარება. სკოლა-ინტერნატებში ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით 1977 წლის სექტემბრიდან დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, რომლებიც რაიმე მიზეზით ვერ ატარებენ ფიზკულტურის გაკვეთილს მოქმედი პროგრამის მიხედვით, ჩამოერთვათ ფიზკულტურის გაკვეთილები.

გამომცემლობა „განათლებას“ ეთხოვოს 1978-1979 სასწავლო წელს გამოსცეს განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული დამხმარე სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლის მასწავლებელთათვის.

ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა ადგილობრივი ორგანოების მიერ შერჩეული მოწინავე მასწავლებელ-სპეციალისტებისგან კომისიის ხელმძღვანელების სათანადო მომზადების მიზნით, ამა წლის ოქტომბერში ჩაატაროს რესპუბლიკური შეკრება-სემინარი; დაამზადოს სანიმუშო გაკვეთილების კრებული I, II და III კლასების არასპეციალისტ მასწავლებელთათვის. ხოლო სახელმძღვანელოების განყოფილებამ შეიტანოს იგი დამხმარე პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემის გეგმაში.

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ უზრუნველყოს დაწყებით კლასებსა და დაწყებით სკოლებში კლასგარეშე მუშაობისთვის საბიუჯეტო ნორმებით გამოყოფილი თანხის დანიშნულებისამებრ გამოყენება.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ფიზკულტურაში დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს; 1977 წლის 15 სექტემბრამდე განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგინოს ფიზკულტურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების გაფართოებული სასწავლო გეგმა; ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან ერთად განახორციელოს კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მოწყობა დიფერენცირებულად მასწავლებელთა ცენზის, სტაჟის, მომზადების დონისა და მუშაობის ადგილის მიხედვით.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად ორი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები სკოლა-ინტერნატების I, II, III კლასებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისა და სპორტული კლასების ორგანიზაციის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '77

სსრ კავშირის პირველობა

● ●

მეორე ლიგაში

16 აგვისტოს გაიმართა II ლიგის IV ზონის გუნდების კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დინამო“ (ზუგდიდი) — „შირაკი“ (ლენინაკანი)

1:1

ზონის გათამაშების ცხრილში II ადგილზე მყოფ „შირაკთან“ დინამოელებმა გაშლილი ფრონტით, სწრაფი იერიშით დაიწყეს თამაში და მეკარე დემირჩიანს დასაწყისშივე მოუხდა ბურთის აღება ანტონიევისგან, მაგრამ სტუმრებმა მოიგერიეს ეს შეტევები და მალე გაათანაბრეს თამაში. შემდეგ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა მიეცა ზუგდიდელ კაბაკოვს, მაგრამ მისი დარტყმა უზუსტო გამოდგა. სამაგიეროდ, 22-ე წუთზე „დინამოს“ მეკარე კვარაცხელიამ ვერ შეძლო ხელში გაეჩერებინა ხაჩატურიანის დარტყმა, ბურთს მიუსწრო ადამიანმა და გაგზავნა კარში — 1:0.

ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა ტაიმის დამთავრებამდე. მეორე ტაიმის 55-ე წუთზე ლენინაკანელთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმო მოედანზე. პენალტი. კაბაკოვმა ძელს მოახვედრა ბურთი და დაკარგა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა.

ეს დასანანი შეცდომა იმავე კაბაკოვმა გამოასწორა 70-ე წუთზე, როცა შორი მანძილიდან ზუსტად დაარტყა საჯარიმო. ბურთი „შირაკის“ კარის ბადეში აღმოჩნდა.

გ. ალშიბაია.

„დინამო“ (ბათუმი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 2:0

იშვიათად რომ ბათუმში ასეთი უამინდობა დასწრებოდეს საფეხბურთო მატჩს. წვიმდა კოკისპირულად და ფეხბურთელებს მიწაზე კი არა, წყლის გუბეებში უხდებოდათ თამაში. მიუხედავად ამისა, ბათუმელებმა თავგამოდებით იბრძოლეს გამარჯვებისთვის და მიაღწიეს კიდეც საწადელს განსაკუთრებით აღსანიშნავია თ. ესებუას ენერგიული, უნარიანი თამაში. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ თ. ესებუა გარღვევაზე გავიდა, იგი მცველებმა წააქციეს და პენალტი ზუსტად იქნა გამოყენებული თვით დაზარალებულის მიერ. ტაიმმა ისე ჩაიარა, რომ ბათუმელთა მეკარე იმნაძეს არ დასჭირვებია თამაშში ჩაბმა.

ინიციატივა შეკვენების შემდეგაც ბათუმელებს ეპყრათ და 57-ე წუთზე შელიამ მოულოდნელი დარტყმით კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი. შემდგომში „პროგრესის“ კართან მრავალი კრიტიკული ვითარება შეიქმნა, ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ სარიშვილს, გორგილაძეს და სხვებს.

ო. მურვანიძე.

„დილა“ (გორი) — „სპარტაკი“ (თბილისი)

0:0

გორელთა გუნდი წლების მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო ზონაში და სტაბილური თამაშით, მაღალი მაჩვენებლით ახარებდა თავის ქომაგებს, მაგრამ ახლა იგი ძველის შორეულ ლანდს თუ წარმოადგენს და შესაფერისი ადგილიც უკავია სატურნირო ცხრილში: იგი აუტსაიდერთა შორის დამკვიდრდა.

I წრეში „დილას“ ანგარიშით 3:1 ჰყავდა დამარცხებული „სპარტაკი“ და, ცხადია, საკუთარ მინდორზე კვლავ უნდა ეზრუნა გამარჯვებისთვის, მაგრამ გუნდის უსისტემო, დუნე, უხალისო თამაშის გამო ეს არ მოხერხდა. შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიული უპირატესობა გორელებს ჰქონდათ, მაგრამ რა აზრი აქვს ასეთ უპირატესობას თუ მას შედეგი არ მოჰყვა?

ერთი სიტყვით, განვლილმა მატჩმა კიდევ ერთხელ ცხადყო გორის „დილაში“ შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა. გუნდის ხელმძღვანელებმა და მთელმა კოლექტივმა გადამწყვეტ ზომებს უნდა მიმართონ სამარცხვინო ჩამორჩენასგან თავის დასაღწევად.

ი. თევდორაშვილი.

ფინალში იბრძოლებენ

ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშებამ მიაღწია გადამწყვეტ ეტაპს — ფინალს. პრიზისთვის იბრძოლებენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და თელავის „ნადიკვარი“.

თელაველებმა შედარებით იოლად მოუგეს ნახევარფინალური მატჩი გალის „მზიურს“. თამაშის პირველ ნახევარს აქ შედეგი არ მოუცია, შემდეგ „ნადიკვარმა“ გააძლიერა იერიშები, 70-ე წუთზე ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა ცირეკიძემ, 10 წუთის შემდეგ კი მაისურაძემ მეორედ აიღო „მზიურის“ კარი.

უფრო დაძაბული და საინტერესო გამოდგა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის ნახევარფინალური შეხვედრა საჩხერის „იბერიასთან“. ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა და ქმნიდა სახიფათო მომენტებს. 29-ე წუთზე თბილისელმა გუჩუამ მიუსწრო მეკარის მიერ მოგერიებულ ბურთს და გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ ინიციატივას მთლიანად საჩხერლები ფლობდნენ და ჭეიშვილმა შორი მანძილიდან შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. სტუდენტებმა იგი უკეთ გამოიყენეს, ხუსკივაძემ, გუჩუამ და ქავთარაძემ კიდევ სამჯერ აიღეს საჩხერელთა კარი — 4:1.

ფინალური მატჩი 23 აგვისტოს გაიმართება თბილისში.

უ. ფურცელაძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

„სიჭაბუკის თასზე“

ვოლგოგრადის ოლქში დაიწყო „სიჭაბუკის თასის“ საკავშირო გათამაშება ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც მონაწილეობენ.

გათამაშების პირველ ტურში საქართველოს ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 1:0 სძლია ლატვიის გუნდს. ასეთივე ანგარიშით მოუგეს უკრაინელებმა რსფსრ-ს ნაკრებს, ხოლო სომხეთისა და მოსკოვის ფეხბურთელთა შეხვედრაში პირველებმა 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

როგორც ვიტყობინებოდით, თბილისში მიმდინარეობს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ნორჩ ფეხბურთელთა სპეციალიზებული სკოლების საკავშირო გათამაშება. მასში მონაწილე კიევის ნორჩ სპორტსმენებს ხელმძღვანელობს წარსულში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამოჩენილი თავდამსხმელი ა. ბიშოვეცი.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. ბიშოვეცი სტადიონის ტრიბუნაზე ესაუბრება კიეველ და თბილისელ ნორჩ ფეხბურთელებს.

ი. იუნაევის ფოტო.

I ლიგა

სტატისტიკის მოყვარულთათვის

● I ლიგის გუნდების საკავშირო გათამაშების პირველი წრის 190 მატჩში მონაწილეობა მიიღო 400 ფეხბურთელმა. ყველაზე მეტი მოთამაშე გამოიყვანეს მინსკის „დინამომ“ და ორჯონიკიძის „სპარტაკმა“ — 23-23, ხოლო ყველაზე ნაკლები ტაშკენტის „ფახტაქორმა“, კრივოი როგის „კრივბასმა“ და აშხაბადის „კოლხოზჩიმ“ — 18-18.

ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში ითამაშა 19 ფეხბურთელმა.

— 79 ფეხბურთელმა მონაწილეობა მიიღო თავისი გუნდის ყველა 19 თამაშში.

— I ლიგის 20 გუნდმა პირველ წრეში 39 მეკარე გამოიყვანა. ყველაზე მეტი მეკარე ათამაშა ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ — 3, ხოლო აშხაბადის „კოლხოზჩიმ“ (ვ. კუროჩკინი) და იაროსლავლის „შინიკმა“ (ვ. ჩურკინი) — თითო მეკარით ჩაატარეს პირველი წრე.

— I ლიგის 182 ფეხბურთელმა 460 გოლი გაიტანა. აქედან 2 „ავტოგოლია“. მათი ავტორებია: როსტოველი ს. იაშინი და ორჯონიკიძელი ნ. ჩიტაური.

— I ლიგის საუკეთესო სნაიპერთა სია შემდეგნაირად გამოიყურება:

1. ვ. კოლიადკო (გროზნოს „თერგი“) — 12 გოლი, 2. ვ. რაზდაევი (კემეროვოს „კუზბასი“) — 10 გოლი, 3-4. ა. ზინჩენკო (ლენინგრადის „დინამო“) და ი. ნადეინი (კიშინიოვის „ნისტრუ“) — 9-9 გოლი, 5-6. გ. იარცევი (მოსკოვის „სპარტაკი“) და ი. რიჟოვი (კემეროვოს „კუზბასი“) — 8-8 გოლი, 7-11. მ. ბულგაკოვი (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. ზახაროვი (კრივოი როგის „კრივბასი“), ნ. პრისტაი (ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი“), ა. პროკოპენკო (მინსკის „დინამო“) და ა. ჩიხლაძე (გროზნოს „თერგი“) — 7-7 გოლი.

— აღსანიშნავია, რომ ქუთაისის „ტორპედოს“ გარდა I ლიგის კიდევ 4 გუნდში (ორჯონიკიძის „სპარტაკში“, ყაზანის „რუბინში“, გროზნოს „თერგში“ და ლენინგრადის „დინამოში“) მოთამაშე ყველა ქართველმა ფეხბურთელმა გაიტანეს გოლები. ესენია: გ. კერაშვილი — 3 გოლი, გ. კაიშაური — 2 გოლი და ნ. ჩიტაური — 1 გოლი (სამივე — ორჯონიკიძის „სპარტაკი“), თ. ძაგნიძე — 5 გოლი, შ. თომაშვილი და მ. ზადიკაშვილი — თითო გოლი (სამივე — ყაზანის „რუბინი“), ა. ჩიხლაძე — 7 გოლი (გროზნოს „თერგი“) და რ. ჭოხონელიძე — 1 გოლი (ლენინგრადის „დინამო“).

— გათამაშების ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელებია: ს. ბეგლეცოვი სიმფეროპოლიდან, პერმელი ვ. აფანასიევი, ქუთაისელი ს. შვეცოვი, ბ. დებენკო ივანო-ფრანკოვსკიდან, სვერდლოვსკელი ს. ლამბინი და ა. შჩერბაკოვი კრივოი როგიდან, რომლებიც 17-17 წლისანი არიან. ვეტერანი ფეხბურთელებია 34 წლის ნ. რასტეგაევი იაროსლავლის „შინიკიდან“ და 33 წლის ზ. მილესი კიშინიოვის „ნისტრუდან“.

იოსელიანი ამარცხებს ლიდერს

პეტროზავოდსკი, 16 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარე სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში შედგა კიდევ ორი (VI, VII) ტურის შეხვედრები.

VI ტურში პირველი დამარცხება იწვნია თბილისელმა ოსტატმა, 14 წლის ნ. იოსელიანმა. მან წააგო გ. სამულთან (ტალინი). ა. მკრტჩიანმა (ტაშკენტი) მოუგო მ. სოკოლოვსკას (რიგა), ა. გრინფელდმა (კალინინგრადი) — ტ. მოროზოვას (ოდესა), ტ. ზატულოვსკაიამ (მოსკოვი) — ი. რამანეს (რიგა), ვ. სტერნინამ (მოსკოვი) — რ. კოსეს (სამარყანდი).

ყაიმით დამთავრდა გ. სტრუტინსკაია (მოსკოვი) — ლ. კულიკოვას (დნეპროპეტროვსკი), ტ. შმაკოვა (ნოვოსიბირსკი) — ტ. ფომინას (ტალინი), ო. იგნატიევა (მოსკოვის ოლქი) — ვ. პეტრუშინას (ნოვოსიბირსკი) პარტიები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას იგნატიევა დამარცხდა რამანესა და კულიკოვასთან. ფომინამ მოუგო ზატულოვსკაიას, მოროზოვამ — სტრუტინსკაიას.

VII ტურში იოსელიანმა პირველი დამარცხება მიაყენა შეჯიბრების ლიდერს მკრტჩიანს. კულიკოვამ მოუგო შმაკოვას, ფომინამ — გრინფელდს, მოროზოვამ — სტერნინას, ზატულოვსკაიამ — პეტრუშინას, კოსემ — სოკოლოვსკას.

ჭადრაკი

გადაიდო სამულ — იგნატიევასა და რამანე — სტრუტინსკაიას პარტიები.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ტ. ფომინა და ა. მკრტჩიანი — 5,5 ქულა თითოეულს. 5 ქულა აქვთ ნ. იოსელიანს, ა. გრინფელდს და ლ. კულიკოვას.

ს. ჩიჩელიანი,
სპორტის ოსტატი.

გადადებულია 15 პარტია

დაუგავპილსი, 16 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა 37-ე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში გაიმართა VIII ტური.

ზედიზედ მეექვსე პარტია ყაიმით დაამთავრა თბილისელმა ც. კობაიძემ, ამჯერად, ვილნიუსელ მ. არლაუსკაიტესთან.

ო. ლოპატინამ (მოგილიოვი) მოუგო ვ. ბორისენკოს (ტაშკენტი), ტ. ვორონინამ — ლ. ბელავენეცს, თ. მინოგინამ (სამივე — მოსკოვი) — ა. ოზოლას (რიგა).

ოთხი პარტია — მ. რანიკუ (ტალინი) — ი. როზენცვაიგის (ლვოვი), ლ. პიარნუუ (ტალინი) — ნ. ალიოხინას (ვორონეჟი), ლ. სემიონოვა (კიევი) — თ. ხუგაშვილის (თბილისი), ვ. დონჩენკო (მოსკოვი) — ი. ლევიტინას (ლენინგრადი) გადაიდო.

გადადებული პარტიების სიმრავლის გამო მონაწილეთა მდგომარეობა გაურკვეველია. ჯერჯერობით კი 8 ტურის შემდეგ ლიდერთა შორის ასეთი მდგომარეობაა: ლ. პიარნუუს აქვს 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ო. ლოპატინას — 5, ი. ლევიტინას, თ. ხუგაშვილს — 4-4 (2-2), ა. ოზოლას და ლ. ბელავენეცს — 4-4, ც. კობაიძეს — 3 (1).

ა. გლაგიძე,
სპორტის ოსტატი,

სტუდენტთა ოლიმპიადაზე

მეხიკოში მიმდინარეობს სტუდენტთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. საბჭოთა მოჭადრაკეებმა უკვე მოიპოვეს ფინალში ასპარეზობის უფლება. მათ ქვეჯგუფში დაამარცხეს გფრ — 2,5:1,5, შოტლანდია — 3,5:0,5, ერთნაირი ანგარიშით (4:0) სძლიეს კანადის, ბრაზილიისა და იამაიკის გუნდებს. მათს გარდა ფინალური ტურნირის საგზურები მიიღეს გფრ-ის, ბრაზილიის, კუბის, ინგლისის, ვენესუელის, აშშ-ის, პოლონეთისა და მექსიკის გუნდებმა. გაიმართა ფინალური ტურნირის 2 ტური. საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს გფრ-ის წარმომადგენლები — 4:0 და ჯერჯერობით უგებენ ბრაზილიელებს — 2,5:0,5 (ერთი პარტია გადადებულია).

პარტია გადაიდო

ჟენევაში (შვეიცარია) ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ბ. სპასკისა (სსრ კავშირი) და ლ. პორტიშს (უნგრეთი) შორის შედგა XIV პარტია. იგი გადაიდო 41-ე სვლაზე. ჯერჯერობით ანგარიშია 7:6 სპასკის სასარგებლოდ.

●

კალათბურთი

სოფია. დამთავრდა კალათბურთელ გოგონათა გუნდების ევროპის პირველობა, რომელშიც ბრწყინვალედ იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა. მათ ფინალში სძლიეს პოლონეთის გუნდს — 96:53 და კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ. შევახსენებთ, რომ წინასწარ ტურნირში საბჭოთა გუნდმა დაამარცხა ისრაელის (114:43), ფინეთის (114:49), პოლონეთის (100:58), ესპანეთის (102:38), იტალიის (106:40) კოლექტივები და ნახევარფინალში სძლია იუგოსლაველებს — 110:53, ფინალში კი, როგორც აღვნიშნეთ, კვლავ დაამარცხა პოლონელები.

მოლდაველი ტურისტები ლაშქრობისას.

საკდესის ფოტოქრონიკა.

სპორტლოტო

33-ე ტირაჟი

მოსკოვი, 17 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 33-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო“: 13 (წყალ-სათხილამურო სპორტი), 18 (რიკაობა), 22 (ციგურები), 37 (სროლა), 45 (ფეხბურთი), 48 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო-2“: 1 (საავიაციო სპორტი), 7 (ბიატლონი), 23 (მძლეოსნობა), 37 (სროლა), 42 (ძალოსნობა), 43 (ფარიკაობა).

მძლეოსნობა

„გადავლებით" თუ „ფოსბიური"?

სურათზე: მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ვ. იაშჩენკო.

საკდესის ფოტო.

ნიუ-იორკი (საკდესი). ჟურნალ „სპორტს ილუსტრეიტედმა" გამოაქვეყნა სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენ ვ. იაშჩენკოსა და მძლეოსნობის ამ სახეობაში ორი სხვადასხვა სტილის მეტოქეობისადმი მიძღვნილი წერილი.

18 წლის იაშჩენკომ დ. სტოუნსის მსოფლიო რეკორდის დამხობით ახალი სული შთაბერა გადავლებით ხტომას, რომელიც კარგა ხანია დავიწყებას მიეცა. მძლეოსნობის ისტორიაში ხაშჩენკო ყველაზე ახალგაზრდა რეკორდსმენია, რომელმაც გადავლებით იასპარეზა. ამ ამბავმა კი კვლავ გამოიწვია დისკუსია: რომელი სტილი სჯობს?

იმ დროს, როდესაც სხვა გამოჩენილი სიმაღლეზე მხტომელები სპორტს მალე ანებებენ თავს, იაშჩენკო ჯერ კიდევ „იზრდება", ხვეწს ტექნიკას. მისი მწვრთნელის ვ. ტელეგინის აზრით, მომავალში ეს სპორტსმენი 240 სმ სიმაღლეს დაძლევს.

იაშჩენკო არ ტოვებს მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანის შთაბეჭდილებას. მას სახის სწორი ნაკვთები და ღია ფერის თმა აქვს, უყვარს მუსიკა და იგი... კარგი გაგებით, არცთუ მთლად მოწესრიგებული კაცია. ავტობუსში მუდამ ყველაზე ბოლოს მოექცევა ხოლმე, თანაგუნდელებისგან ხშირად გაგვიგონია: „ყველაფერი რიგზეა — იაშჩენკო ადგილზეა, შეგვიძლია დავიძრათ". უცხო ადამიანებთან მეტისმეტად მორცხვია. შეჯიბრების დროს კი ამბობს: „მე მხოლოდ თამასის გადალახვაზე ვფიქრობ".

სპორტისადმი ასეთი ერთგულება გადავლებით მხტომელებისთვისაა დამახასიათებელი. 60-იანი წლების ბოლომდე ეს სტილი იყო ერთადერთი, რომლითაც შეიძლებოდა მაღალი შედეგების მიღწევა. ასე ხტებოდა ვ. ბრუმელი. 1968 წელს ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ამერიკელი დიკ ფოსბიური, რომელიც თამასას ზურგზე გადაბრუნებული გადაევლო. მისი მეთოდი თითქმის ყველამ დაუყოვნებლივ აითვისა. ხევრი მწვრთნელი უპირატესობას გადავლებით ხტომას ანიჭებს, მაგრამ მხტომელთა უმრავლესობა ფოსბიურის სტილს მისდევს. საკითხი თითქოს გადაწყვეტილი იყო იაშჩენკოს გამოჩენამდე.

იაშჩენკომ ხტომა გადავლებით დაიწყო და ასევე გააგრძელა. „ბრუმელი ამ სტილით ხტებოდა და მე არ მინდოდა სხვა სტილზე გადასვლა", — თქვა მან.

რათა არ მობეზრებოდა სიმაღლეზე ხტომა, იაშჩენკოს ურჩევდნენ ხელბურთის, კალათბურთისა და წყალბურთის თამაშს. თხოვნით მიმართეს ბრუმელის ყოფილ მწვრთნელს, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორს, ვ. დიაჩკოვს, რათა მას იაშჩენკოსთვის სიმაღლეზე ხტომის ყოველი წვრილმანი ესწავლებინა. მისი ხელმძღვანელობით იაშჩენკომ სწრაფად გააუმჯობესა თავისი შედეგი.

ახლა, როცა გადავლებით მხტომელები (როგორც ვაჟები, ისე ქალები) მსოფლიო რეკორდსმენები გახდნენ, ამ სტილის მომხრეები, ისეთები, როგორიც დიაჩკოვია, ფიქრობენ, რომ მართლები არიან. გადავლებით ხტომის მომხრეა ამერიკელი მწვრთნელი ფრანკ კოსტელოც, რომელიც 10 წლის წინათ [illegible]ფავად ხტებოდა ამ სტილით. მაგრამ იგი იძულებულია თავის მოწაფეებს ასწავლოს „ფლოპი". „ძნელია იპოვო საშუალო სკოლებში მოსწავლეები, რომლებიც გადავლებით ხტებიან, არადა იგი დიდებული სტილია, ოღონდ კარგად უნდა დაეუფლო მას. აი, ისე, როგორც საბჭოთა კავშირში. ახლა შეიძლება მსოფლიო რეკორდმა წაახალისოს მხტომელები და კვლავ გამოიყენონ ეს სტილი", — ამბობს იგი.

ეს პრობლემა შეიძლება კვლავ გაართულოს სტოუნსმა, რომელიც ფოსბიურის სტილით ხტება. მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს ამ სეზონში დაიბრუნოს მსოფლიო რეკორდი.

სტოუნსს დიდი სურვილი აქვს შეხვდეს იაშჩენკოს. „ამ სპორტსმენმა მშვიდ, დაუძაბავ ატმოსფეროში დაამხო ჩემი რეკორდი, მაშინ როცა მისგან არაფერს ელოდნენ", — თქვა სტოუნსმა და დაუმატა: „იაშჩენკომ აჯობა სიმაღლეს და არა სპორტსმენს".

მონრეალის გასაჭირი

თუ რამდენად რთულია კაპიტალისტურ სამყაროში რაიმე კომპლექსური ღონისძიების ჩატარება, ნათლად ჩანს მონრეალის ოლიმპიადის მაგალითზე. — კანადამ დიდი რისკი გაიღო, — წერდა მონრეალის ერთ-ერთი გაზეთი XXI ოლიმპიადის გახსნის წინ, — როცა თავი შეჰყო ყოვლად უაზრო, გაუმართლებელ ოლიმპიურ უღელში. მერე კი თამაშიდან გამოსვლა უკვე სირცხვილი იყო, ვინაიდან იგი უსათუოდ შებღალავდა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს. ამ სიტყვებით ბევრი რამ არის ნათქვამი, თუმცა გაზეთს მეტის თქმაც შეეძლო.

მაინც რაში მდგომარეობს მონრეალის ოლიმპიური ფიასკო? რატომ დაცილდა ერთმანეთს ასე უსაშველოდ მოლოდინი და სიმართლე?

როდესაც კვებეკის პროვინციის ადმინისტრაციამ თანხმობა მისცა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს თამაშების ორგანიზაციაზე, ხოლო კანადის მთავრობამ მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას, კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიური კრიზისი ისე მკვეთრად არ იყო გამოხატული და ბურჟუაზიული თეორეტიკოსები ათასგვარ მითებითა და დაპირებებით ალამაზებდნენ სინამდვილეს. მაგრამ ოლიმპიური სამზადისის პროცესში დასავლეთის სამყაროს გლობალურად მოედო ეკონომიური დეპრესია, რამაც თავი იჩინა მეურნეობის ყველა დარგში. გაძვირდა სამშენებლო მასალა, მუშახელი. რამდენიმეჯერ გაუფასურდა ქვეყნის სავალუტო ფონდი და ამ საერთო კრიზისის ფონზე თავი წამოყო სხვადასხვა სახის კორუფციამ. ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეა ჩიხში მოექცა და, რომ იდეა ტყვეობიდან ეხსნათ, ქვეყნის „მამებმა" უკიდურეს ზომებს მიმართეს, რომლებიც შემდგომში მთლიანად მშრომელთა მასებს დაატყდა თავს. სწორედ ამ გარემოებამ ათქმევინა მწარე სიტყვები კვებეკის პროვინციის მინისტრს ახალგაზრდობის საქმეში კლოდ შერონს: „ასეთი რამ არასდროს არ მოხდება აღმოსავლეთის სამყაროში, ვინაიდან იქ თვით ხალხმა იცის რაზე მიდის და რა სურს. დარწმუნებული ვარ მოსკოვის ოლიმპიადის შემდეგ საბჭოთა დედაქალაქი ბევრს მოიგებს, ჩვენ კი ალბათ მთელი საუკუნე ვერ ამოვალთ ვალებიდან". შერონს არაფერი უთქვამს ისეთი, რაც დასავლეთის სამყაროში სხვებმა არ იციან. იგი უბრალოდ, უფრო თამამია თავის გამოთქმებში, ვინაიდან თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა კანადაში ოლიმპიური თამაშების ჩატარების იდეას.

ახლა კლოდ შერონი ოფიციალურად ხელმძღვანელობს კომისიას, რომელსაც ევალება ოლიმპიური ნაგებობებიდან მოგების მიღება (არაოფიციალური ცნობების თანახმად მონრეალს ოლიმპიური თამაშების მოწყობა მილიარდზე მეტი დოლარი დაუჯდა). კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე მინისტრმა დაუფარავად განაცხადა: ოლიმპიური ვალების გადახდა სულ ცოტა ერთ თაობას შეიწირავსო. მაშინ კორესპონდენტებმა თხოვეს შერონს უფრო კონკრეტულად განემარტა თავისი სიტყვები, რაზეც მან ირონიით დასძინა: ზოგი ვალი ალბად 10 წლის განმავლობაში დაიფარება, მაგრამ მთელი დეფიციტის დაფარვას სულ ცოტა 20 წელი დასჭირდებაო...

ოლიმპიადის შემდგომი წელი ზუსტად ასაბუთებს შერონის სკეპტიციზმს და, რაც მთავარია, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოუსწორებელ კვალს სტოვებს. თამაშების დამთავრებიდან 3 თვის შემდეგ კვებეკის პროვინციის ლიბერალურმა მთავრობამ მარცხი განიცადა არჩევნებში. მომდევნო სამი თვის შემდეგ კი ზოგიერთი მინისტრის გადადგომა გამოიწვია. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია.

ნახავს თუ არა რაიმე გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან შერონის კომისია? ძნელი სათქმელია და აი, რატომ: ოლიმპიური სოფელი, რომლის მშენებლობა 110 მილიონი დოლარი დაჯდა, დღემდე უკაცრიელია. ბინები უზომოდ ძვირი ღირს და არქიტექტურული თვალსაზრისით მოუხერხებელია. მაქსიმუმი, რასაც ოლიმპიური სოფლის რეალიზაცია მოგვცემს, 30 მილიონი დოლარია, ისიც მაშინ, თუ ბინებს შეღავათიან ფასებში გავყიდითო, — აცხადებენ კომისიის წევრები.

უფრო სავალალო მდგომარეობაშია 70 ათასი მაყურებლისთვის ნავარაუდევი ოლიმპიური სტადიონი, რომლის მშენებლობაც 800 მილიონი დოლარი დაჯდა. ჯერ მარტო ამ სტადიონის მომსახურე პერსონალის შენახვა, კანადის პრესის მონაცემებით, ყოველწლიურად მილიონ დოლარს აღემატება, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა (და ალბათ არც მოხერხდება) ტრიბუნების ბოლომდე შევსება მაყურებლებით. ვერ შესძლო ეს ვერც „როკ-მუსიკის" თანამედროვე ანსამბლების გრანდიოზულმა კონცერტებმა, რომლებიც 10 დღის მანძილზე გრძელდებოდა ამ სტადიონზე და ვერც რელიგიურმა მიტინგმა.

არა და გენერალური გეგმის თანახმად სტადიონის მშენებლობა ჯერ დამთავრებულიც არ არის. ოლიმპიური სტადიონი პროექტით გათვალისწინებულ სახეს მაშინ მიიღებს, როცა საფრანგეთიდან ჩამოიტანენ მის სახურავს. დღესდღეობით კი კანადას დიდძალი თანხების გადახდა უხდება საფრანგეთის საწყობებში სახურავის დეტალების შენახვისთვის.

ყველაფერ ამის შემდეგ ცხადია, კომისიას არა აქვს რაიმე შემოსავლის მიღების იმედი. სპორტული კომპლექსები კი სულ ახალ-ახალ ფულად მსხვერპლს მოითხოვენ. ამიტომ კომისიამ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: ამიერიდან მაინც ყაირათიანად ხარჯოს სახსრები, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას რაიმე გამართლება და ეკონომიური ეფექტი ექნება.

ზიკოს განცხადება

გფრ-ის ნაკრების მწვრთნელმა შიონმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას ილაპარაკა თავისი გუნდის მოგზაურობაზე სამხრეთ ამერიკაში.

რამდენადმე მოულოდნელი იყო შიონის მიერ ბრაზილიის ნაკრების საკმაოდ დაბალი შეფასება. მწვრთნელმა აღნიშნა, რომ ბრაზილიის ახლანდელი ნაკრები უფერულად თამაშობს და დიდი მუშაობა დასჭირდება მდგომარეობის გამოსასწორებლად. ბრაზილიელთა დიდმა იმედმა, „ახალ პელედ" წოდებულმა ზიკომ ასევე არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვა შიონზე. მისი აზრით, ზიკოს დიდი ნაკლოვანებები აქვს და, ყოველ შემთხვევაში, ვერასოდეს მოხვდებოდა გფრ-ის ნაკრების შემადგენლობაში.

ფიგეროა — № 1

ბრაზილიის ჩემპიონის — „ინტერნაციონალის" (პორტო ალეგრე) მოთამაშე ფიგეროა მიიჩნიეს სამხრეთ ამერიკის № 1 ფეხბურთელად. ეს ცნობილი გახდა კონტინენტის 18 სპორტული ჟურნალისტის მიერ შევსებული ანკეტების შედეგად. ასეთი ანკეტა მათ ყოველწლიურად ეგზავნებათ.

ამჯერად ფიგეროამ 51 ხმა მოაგროვა, 17 ხმით გაუსწრო ზიკოს და 20 ხმით — რიველინოს (ორივე — რიო-დე-ჟანეიროს „ფლუმინენსე"). მომდევნო ადგილებზე არიან გატი (ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსი"), ლუის პერეირა (თამაშობს მადრიდის „ატლეტიკოში"), მორენა (მონტევიდეოს „პენიაროლი"), პასარელა (ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტი"), პაულო ცეზარი („ფლუმინენსე"), ალონსო (ბუენოს-აირესის „არგენტინა"), ლეივინია (მადრიდის „ატლეტიკო").

სიაში სულ დასახელებულია 10 ბრაზილიელი, 8 არგენტინელი, 6 პერუელი, 2-2 ჩილიელი და ურუგვაელი ფეხბურთელი.

სამხრეთ ამერიკის უძლიერეს ფეხბურთელს ასახელებენ 1971 წლიდან. მაშინ გაიმარჯვა ტოსტაომ, 1972 წელს — ტოსტაომ, 1973 წელს — პელემ, 1974, 1975, 1976 და 1977 წლებში კი უცვლელად პირველია ფიგეროა.

„მიუნხენ 1860"-ის დაბრუნება

1966 წელს კლუბი „მიუნხენ 1860" გფრ-ის ჩემპიონი იყო, ხოლო შემდეგ თანდათანობით დაკარგა თავისი წამყვანი მდგომარეობა და II ლიგაშიც კი გადაინაცვლა. ახლა ამ ცნობილმა გუნდმა ისევ მოიპოვა ბუნდესლიგაში თამაშის უფლება. მის შემადგენლობაში განსაკუთრებით გამოირჩევა იუგოსლაველი ცენტრალური მცველი გლავოვიჩი.



უიმბლდონის წლევანდელი ტურნირი ევროპელ ჩოგბურთელთა ტრიუმფით აღინიშნა. ამ სურათებზე მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატში გამარჯვებულები შვედი ბიორნ ბორგი და ინგლისელი ვირჯინია უეიდი არიან აღბეჭდილი.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(აკ. წერეთლის პრ. № 2)

ფეხბურთი
სსრ კავშირის ჩემპიონატი
„დინამო" (თბილისი) —
„დინამო" (მოსკოვი)

20 აგვისტო —
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.

21 აგვისტო —
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს. და 30 წთ.

ბილეთები გაიყიდება: ორგანიზაციებზე — 18 და 19 აგვისტოს დილის 10 საათიდან, საერთო — 21 აგვისტოს დილის 10 საათიდან „ლოკომოტივის" სტადიონის სალაროებში.

ძალაშია აბონემენტის სერია „ალ".

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-59; მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-51; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02241